ALTER ENERGY LTD

N05/03-1

5 მარტი 2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

როგორც თქვენთვის ცნობილია შპს „ალტერ ენერჯი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 445406515) შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (№2-376 01/05/2019 წ.) საფუძველზე შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. გოგინაურის მიმდებარედ ახორციელებს მცირე სიმძლავრის ჰესის - „გოგინაური ჰესის" მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტს. პროექტის სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია შესული და ჰესის ექსპლუატაციაში გაშვება იგეგმება 2021 წლის სექტემბრის თვეში.

საქმიანობის მიმდინარეობის პარალელურად შპს „ალტერ ენერჯი"-ის დაკვეთით მომზადდა პროექტი „გოგინაური ჰესის" მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საერთო ენერგოსისტემაში ჩართვის მიზნით. აღნიშნული პროექტი გულისხმობს 35 კვ ძაბვის და 251 მ სიგრძის საკაბელო ეგხ-ს მოწყობას „გოგინაური ჰესის" ძალოვანი კვანძიდან არსებული საჰაერო ეგხ „ლომონაური"-ს У35-1+5 ტიპის საყრდენ ანძამდე. აღსანიშნავია, რომ საპროექტო საკაბელო ეგხ-ს ტრასა გადის ჰესის მილსადენის დერეფანში (სამინისტროსთან შეთანხმებული ე.წ. „shape" ფაილების საზღვრებში) და არსებული საავტომობილო გზის მომიჯნავედ, რაც საუკეთესო გადაწყვეტილებაა გარემოსდაცვითი თვალსაზრისით.

პროექტი მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-2 დანართით განსაზღვრული საქმიანობების ნუსხას, კერძოდ: პუნქტი 3.4. „35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება". კანონის მოთხოვნით საქმიანობა ექვემდებარება კოდექსის მე-7 მუხლით გაწერილ სკრინინგის პროცედურას.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას 35 კვ ძაბვის საკაბელო ეგხ „გოგინაური ჰესი-35 კვ ეგხ ლომონაური"-ს მშენებლობა-ექსპლუატაციისთვის.

წერილს დანართის სახით თან ერთვის კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ:

- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ (ნაბეჭდი და ელ. ვერსია);
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ (დაბეჭდი და ელ. ვერია).

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

ამასთანავე ვთვლით, რომ წერილის დანართში წარმოდგენილი ინფორმაცია საკმაოდ დეტალურად ასახავს პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელ გარემოზე ზემოქმედების საკითხებს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 3986
05" 03 2020
1/CD
02

პატივისცემით,

დირექტორი

ზურაბ მერაბიშვილი

5773701 03

შპს „ალტერ ენერჯი"
თბილისი, გუდიაშვილის მოედანი N4. – (ს.ნ. 445406515)
www.alterenergy.ge